



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბუაჩიძე გრიგოლ მიხეილის ძე

ბუაჩიძე გრიგოლ მიხეილის ძე (5. II. 1916, სოფ. ფარცხნალი, შორაპნის მაზრა, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპ., - 1996), საბჭოთა კავშირის გმირი (26. X. 1943).

დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის (ახლანდ. ს.-ს ორბელიანის) სახ. პედ. ინ-ტის ბიოლ. ფაკ-ტი (1956). 1939 გაიწვიეს წითელ არმიაში. II მსოფლიო ომის დროს (1939-45) იბრძოდა სტალინგრადთან, ხარკოვთან, კრემენჩუგთან, სადაც მდ. დნეპრის გადალახვისა და მარჯვ. ნაპირზე პლაცდარმის გამაგრების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. მონაწილეობდა კიბინიოვ-იასის ოპერაციაში, აგრეთვე რუმინ., ჩეხოსლ., უნგრ. და ავსტრ. განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ომის შემდეგ მუშაობდა ზესტაფონსა (1946-54) და რუსთავში (1955).

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

**ტ. ჩინჩილაკაშვილი**

---